ბავშვობის პერიოდის ნეგატიური გამოცდილებები პარტნიორის მიმართ ძალადობის მუხლით გასამართლებულ პირებში

ქეთი მამუჩაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქიკური ჯანმრთელობის (ფსიქოტრავმატოლოგია) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ფსიქიკური ჯანმრთელობა (ფსიქოტრავმატოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მახაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთი მამუჩაშვილი,

ივნისი, 2024 წელი.

მადლობა

გულითად მადლობას ვუხდი ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ქალბატონ ნინო მახაშვილს გაწეული დახმარებისა და თანადგომისათვის.

მადლობას ვუხდი პრობაციის ეროვნულ სააგენტოს წარმომადგენლებს, კვლევის ჩატარების ნებართვისათვის, ასევე მცხეთის პრობაციის ბიუროს სოციალურ მუშაკს მირანდა ჩხეტიანს უსაზღვრო და უანგარო მხარდაჭერისთვის კვლევის პროცესში.

მადლობა იმ პირობით მსჯავრდებულებს, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე.

აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროსთვის გამოწვევას წარმოადგენს ოჯახური თუ პარტნიორის მიმართ ძალადობა. ოჯახური ძალადობა, რომელიც გულისხმობს ფიზიკური, ემოციური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ძალადობას პარტნიორის ან ოჯახის წევრის მიმართ, არის რთული და მრავალმხრივი ფენომენი, რომელიც უკავშირდება სოციალურ, კულტურულ და ისტორიულ კონტექსტებს. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახური ძალადობა ყოველთვის იყო ადამიანის გამოცდილების ნაწილი, მისი აღქმა და რეგულირება დროთა განმავლობაში შეიცვალა.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს პარტნიორზე მოძალადე მამაკაცების ბავშვობის დროინდელი ნეგატიური გამოცდილებების შესწავლას, ძალადობრივ ქცევასთან შესაძლო კავშირების დადგენას, ასევე მიმდინარე ფსიქო-ემოციური საჭიროებების გამოკვლევას.

კვლევა თვისებრივი მეთოდით ჩატარდა. კვლევის ფარგლებში შეგროვდა თვისებრივი მონაცემები ნახევრად-სტრუქტურირებული კითხვარის დახმარებით, ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები. ნახევრად-ღია/სტრუქტურირებული კითხვარი შემუშავდა ჯანმოს ბავშვობის ნეგატიური გამოცდილებების საერთაშორისო კითხვარზე (World Health Organization. 2018) დაყრდნობით; დაემატა კითხვები იმის შესახებ, რას ფიქრობს პირი ამ გამოცდილებების გავლენაზე მის ფსიქოსოციალურ მდგომარეობაზე, ურთიერთობებზე სხვებთან, მათ შორის ოჯახის წევრებთან, ასევე მათ ამჟამინდელ ფსიქო-სოციალურ საჭიროებებზე.

საკვლევ ჯგუფს წარმოადგენს ოჯახში ძალადობის მუხლით (126[1] მუხლი) გასამართლებული პირები, რომელთაც შეფარდებული აქვთ პირობითი მსჯავრი. კვლევაში გამოიკითხა 10 რესპოდენტი.

კვლევაში გამოვლინდა პარტნიორის მიმართ ძალადობის გამოცდილების მქონე პირთა ბავშვობისდროინდელი ნეგატიური გამოცდილებები: ძალადობა ოჯახში, თანატოლთა შორის ძალადობა, ომის ტრავმა, დაუკმაყოფილებელი ბაზისური

მოთხოვნილებები, ოჯახის წევრების მიერ ალკოჰოლის ხშირი მოხმარება, ძალადობის შემთხვევები სკოლაში.

საკვანძო სიტყვები: ოჯახური ძალადობა, პარტნიორის მიმართ ძალადობა, ბავშვობისდროინდელი ნეგატიური გამოცდილებები.

Abstract

Domestic and partner violence is a challenge for the modern world. Domestic violence, which refers to physical, emotional, psychological or sexual violence against a partner or family member, is a complex phenomenon linked to social, cultural and historical contexts. Although domestic violence has always been part of the human experience, its perception and regulation have changed over time.

The present study aims to study the negative childhood experiences of male (intimate?) partner abusers, to determine possible connections with violent behavior, as well as to examine current psycho-emotional needs. The research was conducted using a qualitative method. Within the framework of the study, qualitative data were collected with the help of a semi-structured questionnaire, and in-depth interviews were conducted. A semi-open/structured questionnaire was developed based on the WHO International Questionnaire on Adverse Childhood Experiences (World Health Organization. 2018); Questions were added about the person's perception of the impact of these experiences on their psychosocial well-being, relationships with others, including family members, and their current psychosocial needs.

The research group consists of persons convicted under the Law on Domestic Violence (Article 126[1]), who have a suspended sentence. 10 respondents were enrolled in the study.

The research revealed the negative childhood experiences of people who experienced partner violence: violence in the family, violence between peers, war trauma, unsatisfied basic needs, frequent alcohol consumption by family members, and cases of violence at school.

Key words: family violence, intimate partner violence, negative childhood experiences.